

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის წარდგენის ბოლო თარიღია 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	20486454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში (BSc in Geography) ; 0505
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 28.10.2011 წელს გადაწყვეტილება №213

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ელაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს ბრძანების №771 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმით (ოქმი №9, 29.01.2019) განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2019 წლის 29 მარტს №4611/01-03-06 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №452455) წარმოდგენილი „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწორებული მასალები და ანგარიში, დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეც-

ნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის 2019 წლის 11 მარტის სხდომაზე (ოქმი №1, 11.03.2019). ასევე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 21 მარტის სხდომაზე (ოქმი №2, 21.03.2019).

ექსპერტების რეკომენდაციით, საბაკალავრო პროგრამაში საჭირო იყო რიგი ცვლილებების, სრულყოფის და დაზუსტებების შეტანა როგორც პროგრამის ზოგადი ხასიათის, ასევე სტრუქტურის და სილაბუსების თვალსაზრისით. ექსპერტ მიერ გაცემულ რეკომენდაციების მიხედვით განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

ზოგადი რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1: მკაფიოდაა ჩამოსაყალიბებული პროგრამის მიზანი და შედეგები. თუ რა ცოდნის მიცემას და რა სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება აღნიშნული პროგრამა.

პროგრამის აღწერაში მიზნები და შედეგები მკაფიოდ იქნა ჩამოყალიბებული და გარკვევით გამოხატავს რა სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება პროგრამა და რა ცოდნას იძლევა პროგრამის დასრულების შედეგად.

რეკომენდაცია 2: საჭიროა პროგრამის მიზნის და შინაარსის შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან თანხვედრაში მოყვანა; პროგრამის შედეგებში მეტი ყურადღება გამახვილდეს მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენების საკითხზე.

განახლებული პროგრამის შემოწმებამ აჩვენა, რომ მიზნები და შედეგები მთლიანობაში თანხვედრაშია მოყვანილი შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან.

რეკომენდაცია 3: პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს გადახალისებას სასწავლო კურსების თვალსაზრისით. გადასახედია პროგრამასა და მისი შემადგენელი კურსების სილაბუსებს შორის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა.

პროგრამის სტრუქტურა გადახალისებული იქნა გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინებით. დაემატა „სასწავლო-საველე პრაქტიკა 2“ (ჯამში საველე პრაქტიკამ შეადგინა 10 ECTS) და „დისტანციური ზონდირება“ (5 ECTS). როგორც აღნიშნულია შესაბამისი ქართული რიდერი მომზადებული იქნება გაზაფხულის სემესტრში საგნის გააქტიურებამდე. ამასთანავე, დაიხვეწა სასწავლო კურსების უმეტესობის მიზნები. ჯამში მოხდა სილაბუსების პროგრამის შედეგებთან მაქსიმალური შესაბამისობის მიღწევა.

რეკომენდაცია 4: გასაუმჯობესებელი და გადასახედია რიგი სილაბუსები (დეტ. იხილეთ შემდეგ თავებში და დანართში) რიგი პარამეტრების მიხედვით, კერძოდ: სასწავლო კურსის მიზნების და სწავლის შედეგების დაკონკრეტება, კურსის შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა მიზნებთან, თემატური გადაფარვა სილაბუსებს შორის ან მათი შეუსაბამობა პროგრამის საბაკალავრო საფეხურთან. კვლევაზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების გაძლიერება.

როგორც განმეორებითმა შეფასებამ აჩვენა, სილაბუსების უმრავლესობა გადახედილი და გაუმჯობესებული იქნა: დაკონკრეტდა მიზნები და შედეგები და მთლიანობაში სასწავლო კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოვიდა; ყურადღება მიექცა სილაბუსების ნაწილში არსებულ ძირითად თემატურ გადაფარვებს და შესაბამისობაში იქნა საბაკალავრო საფეხურთან.

კვლევაზე დაფუძნებული სწავლების პრინციპი ასევე ძირითადად გათვალისწინებულია.

რეკომენდაცია 5: პროგრამაში ყურადღება უნდა მიექცეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კომპონენტის გაძლიერებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას სტუდენტებისათვის და შესაბამისად საველე პრაქტიკის კომპონენტის დახვეწას და განვითარებას.

განახლებულ პროგრამაში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავების კომპონენტი მნიშვნელოვნად არის გაძლიერებული სილაბუსების დონეზე. ამავე დროს გაძლიერებულია საველე კვლევების კომპონენტი, პროგრამაში მეორე სავალდებულო საველე-კვლევების სილაბუსის დამატებით, თანაც ამ ორივე სილაბუსის სტრუქტურის და შინაარსის მიშვნელოვანი განახლებით. ამასთანავე, „არსებული ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, დაიხვეწა პრაქტიკის სილაბუსებში შინაარსობრივი მხარე“.

რეკომენდაცია 6: მნიშვნელოვანია პროგრამაში თანამედროვე გეოგრაფიული ტექნოლოგიების გამოყენების უნარჩვევების განვითარება, რაც ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას ასამაღლებლად დასაქმების ბაზარზე.

როგორც განახლებული პროგრამის შემოწმებამ აჩვენა, გეოსაინფორმაციო სისტემების სასწავლო სილაბუსები გადაიხედა და დიხვეწა. პროგრამის ავტორებმა არჩიეს შეენარჩუნებინათ GIS-ის სწავლების „ვერტიკალური“ სტრუქტურა (როდესაც ყოველი საფეხური წინაპირობაა შემდეგის), რაც მათ აკადემიურ მიდგომას წარმოადგენს.

რეკომენდაცია 7: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება; სტუდენტების უზრუნველყოფა კომპიუტერული კლასებით და შესაბამის პროგრამული უზრუნველყოფით.

მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე შეუძლებელია ვიმსჯელოთ მოცემულ ფორმატში. როგორც განახლებულ პროგრამასთან ერთად მოწოდებულ ანგარიშშია ჩამოყალიბებული ამ მხრივ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, რაც გამოიხატება: კომპიუტერული კლასების უახლესი კომპიუტერებით აღჭურვაში, GIS-ლაბორატორიის თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფაში, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებაში, ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობაში და სხვ. ამასთანავე, მიმდინარეობს თსუ მე-2 კორპუსის რეაბილიტაცია, რაც ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. პროგრამის მიზნები

რეკომენდაცია 7: მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, თუ რა ცოდნის მიცემას და რა სპეციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას ემსახურება აღნიშნული პროგრამა. თანამედროვე გეოგრაფიის კონკრეტულად რომელ დარგებს (მიმართულებებს) მოიცავს სწავლების საბაკალავრო საფეხური.

აღნიშნული რეკომენდაცია იმეორებს #1 რეკომენდაციას ზოგადი რეკომენდაციების ნაწილშიც. კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა განახლებულ პროგრამაში.

რეკომენდაცია 8: სასწავლო პროგრამაში შესაბამისი ყურადღება დაეთმოს თანამედროვე

გეოგრაფიის აუცილებელ ინსტრუმენტებს გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებს და დისტანციურ ზონდირების სწავლებას და მათ პრაქტიკულ აპლიკაციებს, ასევე სტუდენტებისთვის პრაქტიკული ცოდნის მიცემას, რაც პირდაპირ კავშირშია დასაქმების ბაზართან.

იხ. შეფასება რეკომენდაციებზე #3 და #6.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

რეკომენდაცია 9: შედეგებში მეტი ყურადღება გამახვილდეს მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენების საკითხზე, რათა მკაფიოდ ჩანდეს თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი კვალიფიკაცია, პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

როგორც განახლებული პროგრამის შემოწმებამ აჩვენა, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა და პროგრამაში გამახვილდა ყურადღება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებზე, რაც თავის მხრივ ამალგებს კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

რეკომენდაცია 10: მიეთითოს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების არეალები, მაგალითად: სტუდენტი შეძლებს თუ არა დამოუკიდებლად აწარმოოს საველე გეოგრაფიული მასალის შეგროვება, დამუშაოს მონაცემები გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით და მოახდინოს მიღებული შედეგების კარტირება. ან იყოს გეოგრაფიული კვლევითი პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელის მითითებით აწარმოოს მონაცემთა მოძიება და დამუშავება. და ა.შ. სწავლის მოსალოდნელი შედეგები იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას, ბაზრის მოთხოვნებს და იყოს გაზომვადი.

პროგრამის განახლებულ ვარიანტში გათვალისწინებული იქნა აღნიშნული რეკომენდაცია, მკაფიოდ ჩამოყალიბდა დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები, რაც თავის მხრივ შესაბამისობაშია დარგის სპეციფიკასთან და ბაზრის მოთხოვნებთან.

რეკომენდაცია 11: მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ ცოდნის, უნარების და კომპეტენციის კონკრეტულად რა მოცულობას მიიღებს სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, რათა გასაგები იყოს სწავლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების სფეროები და დონე.

განახლებული პროგრამის შემოწმება აჩვენებს, რომ ექსპერტთა აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. პროგრამის მიზნის, სწავლის შედეგების ასევე სასწავლო გეგმის განახლება დახვეწის შედეგად. კონკრეტული ცოდნის და კომპეტენციის განსაზღვრის საშუალებას სტუდენტს აძლევს სპეციალობის სავალდებულო საგნების (85 ECTS) და სპეციალობის არჩევითი კურსების (35 ECTS) ერთობლიობა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს გაიმყარონ ცოდნა შემდეგი მიმართულებების მიხედვით: გეომორფოლოგია, კლიმატოლოგია, ჰიდროლოგია, ნიადაგმცოდნეობა, ოკეანოლოგია, რეგიონული გეოგრაფია, კარტოგრაფია, გეოინფორმატიკა.

რეკომენდაცია 12: სწავლების დასრულების შედეგად შეძენილი ღირებულებები დაუკავშირდეს დარგობრივ ღირებულებებს. ასევე მნიშვნელოვანია დაზუსტდეს შეძენილი კომუნიკაციის უნარები, კერძოდ დაკონკრეტდეს უცხო ენის ფლობის დონე.

როგორც განახლებული პროგრამიდან ნათლად ჩანს, უცხო ენის გათვალისწინებულია, როგორც სავალდებულო საუნივერსიტეტო საგანი 10 ECTS კრედიტის მოცულობით, თუმცა ინგლისური

ენის სილაბუსის არ არსებობს პირობებში ძნელია დავადგინოთ მიღებული ინგლისურის ცოდნის დონე (B1/B2), აქვე შევნიშნავთ რომ ეს უფრო ზოგად საუნივერსიტეტო საკითხია და არა კონკრეტულად გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

რეკომენდაცია 13: პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს გადახალისებას სასწავლო კურსების თვალსაზრისით, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს (დაემატოს) სილაბუსები დისტანციური ზონდირების მეთოდების და გეოდეზიის პროფილით, ხოლო გეოგრაფიული საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსი უპრიანი გახდეს ძირითად/სავალდებულო საგნად. თავიდან იქნეს აცილებული თემების დუბლირება, ასევე ზოგიერთი სილაბუსი შესაბამისობაში მოვიდეს საბაკალავრო დონესთან.

რეკომენდაციაში მოცემული საკითხები, გარკვეულ გადაფარვაშია უკვე განხილულ რეკომენდაციებთან, თუმცა ამ შემთხვევაში საუბარია დასამატებელი/განახლებული სილაბუსების პროგრამის სტრუქტურაში სათანადოდ ასახვაში. პროგრამის კურიკულუმში მოხდა სასწავლო კურსების გადახალისება. კერძოდ, სპეციალობის არჩევითი საგნებში დაემატა საგანი „დისტანციური ზონდირება“; გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების საწყისი საფეხურის სილაბუსი „გეოინფორმატიკა“ კი განახლებული იქნა გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2.3. სასწავლო კურსი

რეკომენდაცია 14: დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგები (განსაკუთრებით დარგობრივი კომპეტენციების ნაწილი).

განახლებულ პროგრამაში სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები დაკონკრეტდა, კერძოდ დარგობრივი კომპეტენციების ნაწილში.

რეკომენდაცია 15: გამოსწორდეს სილაბუსთა ნაწილში მნიშვნელოვანი თემატური გადაფარვა და ან გაუქმდეს მადუბლირებული სილაბუსი, ან მკაფიოდ გაიმიჯნოს სასწავლო თემები და აღმოიფხვრას გადაფარვა.

როგორც განმეორებითმა შემოწმებამ აჩვენა, განახლებულ პროგრამაში სილაბუსები მნიშვნელოვნად იქნა გადახედილი და გაუმჯობესებულია. რეკომენდაციაში მითითებული საკითხი მთლიანობაში აღმოფხვრილია. სილაბუსების ნაწილში მოიხსნა საკითხების თემატური გადაფარვები, დაკონკრეტდა საკითხების სწავლების სიღმეები.

რეკომენდაცია 16: გადაიხედოს ვიწრო სპეციალიზირებული (დარგობრივი) თემატიკის სილაბუსები, რომლებიც თავისი შინაარსით სამაგისტრო დონეს უფრო შეესაბამება, ან მოერგოს სწავლების საბაკალავრო საფეხურს, ან გამოყენებული იქნეს სწავლების შესაბამის დონეზე.

რეკომენდაცია მთლიანობაში გათვალისწინებული იქნა. როგორც განახლებული პროგრამის ანგარიში გვიჩვენებს სილაბუსების ნაწილში მოხდა ზოგიერთი საკითხის ამოღება და მაგისტრატურაში გადატანა (მაგ. „ნიადაგების კლასიფიკაცია“), საკითხების ნაწილი მოერგო საბაკალავრო დონეს, ნაწილი კი, საკითხების მიწოდების დონიდან გამომდინარე, პასუხობს საბაკალავრო საფეხურს (დეტალები იხილეთ ქვემოთ).

რეკომენდაცია 17: რამდენიმე სილაბუსის შემთხვევაში მეორდება ძირითადი ლიტერატურა, გასწორდეს, ან დასაბუთდეს (თავების/თემების დონეზე) ასეთი საჭიროება.

ძირითადი ლიტერატურის გამეორება გასწორებული იქნა რამდენიმე სილაბუსში.

რეკომენდაცია 18: როგ შემთხვევებში სილაბუსები არ პასუხობს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების პრინციპებს, გასაძლიერებელია სილაბუსებში კვლევითი კომპონენტი.

როგორც ექსპერტთა დასკვნის განხილვის დროს უკვე აღინიშნა, შემოწმების მოცემულ ფორმატში, მხოლოდ სილაბუსების გაცნობიდან რთულია ცალსახა დასკვნების გაკეთება. გეორგიის საბაკალავრო პროგრამის ავტორებმა დაასაბუთეს რომ პროგრამაში წარმოდგენილი საგნების უმრავლესობა კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას ეფუძნება და რომ კვლევითი კომპონენტი ბაკალავრიატში საკმარისადაა წარმოდგენილი.

რეკომენდაცია 19: სასწავლო-საველე პრაქტიკის სავალდებულო კურსში მკაფიოდ გაიწეროს თემატიკა, დავალებებში, მისაღებ შედეგებში უშუალოდ საველე კვლევებში გამოსაყენებელი ტექნიკური და პროგრამული აღჭურვილობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასწავლო-საველე პრაქტიკების რაოდენობა გაორმაგდა 5 დან 10 კრედიტამდე, თვისობრივად განახლდა პრაქტიკის სილაბუსები, კურსის სტრუქტურა, სწავლების მეთოდები, ტექნიკური და პროგრამული აღჭურვილობის გათვალისწინებით.

2.3. სასწავლო კურსი

რეკომენდაციები სილაბუსების მიხედვით:

1. ნიადაგმცოდნეობა (სავალდებულო კურსი). დარგის ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება შეუსაბამოა; ელ. რესურსზე მოცემული ლინკი არ იხსნება; ძირითადი ლიტ. საკუთარი გამოცემა 2011 წ.

განახლებული სილაბუსში გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები. ნიადაგმცოდნეობის სილაბუსში განახლდა სწავლის შედეგების დარგობრივი კომპეტენციების კატეგორია, კერძოდ პუნქტები „ცოდნა და გაცნობიერება“ და „დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება“, და შესაბამისობაში მოვიდა კურსის შინაარსთან. განიმარტა ძირითადი ლიტერატურის ლინკთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხი, ხოლო მეორე რესურსი (პედაგოგის თანაავტორობით თსუ გამომცემლობაში 2011 წლის გამოცემა) „პრაქტიკული ნიადაგმცოდნეობაში“ დაზუსტდა, რომ ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოიყენება.

2. მიკროპედოლოგია. დარგის ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება შეუსაბამოა; ძირითადი ლიტერატურა – პედაგოგის ელ. მასალები იგივე ლინკია, რაც ნიადაგმცოდნეობაზე და არ იხსნება. დამხმარე ლიტერატურა ძალიან ბევრია. თემატურად სამაგასტრო დონის საგანია (ვიწრო სპეციალიზაცია).

მიკროპედოლოგიის სილაბუსში გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები: განახლდა და გაიმართა სწავლის შედეგების დარგობრივი კომპეტენციები. განიმარტა ძირითად ლიტერატურის ლინკთან დაკავშირებული საკითხი. მოხდა დამხმარე ლიტერატურის გაფილტვრა და შემცირება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასწავლო კურსი, როგორც არჩევითი საგანი შესაძლოა მიწოდებული იქნას საბაკალავრო დონეზე.

3. მთის ლანდშაფტები: ძირითადი ლიტერატურა შეუსაბამოა: საკუთარი 2 წიგნი

მსოფლიო/საქართველოს ფიზ. გეოგრაფია 2012 წწ. თემატურად ვიწრო სპეციალიზაციაა და სამაგისტრო დონის საგანია.

ექსპერტთა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნა და სილაბუსში ლიტერატურა გასწორდა. რაც შეეხება საგნის საბაკალვრო თუ სამაგისტრო დონეზე სწავლებას, ავტორთა დასაბუთება მიღებულია, საგნის საბაკალვრო დონეზე დატოვებასთან დაკავშირებით.

4. კავკასიის ბუნება და რესურსები. სალექციო კურსი წარმოადგენს კომპილაციას სხვა სილაბუსებში უფრო დეტალურად განხილული საკითხების, კერძოდ ეს სილაბუსებია: ბიოგეოგრაფია, წყლის რესურსები, ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია, კლიმატური რესურსები. შესაბამისად უფრო შესავალი, გაცნობითი კურსია და უპრიანი იქნებოდა მისი შესავალ კურსად გამოყენება და არა გეოგრაფიის მოდულის არჩევით საგნად. ამ შემთხვევაშიც დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი 35 ერთეულია, რაც გამოუსადეგს ხდის ამ სიას სტუდენტთათვის. ძირითადი ლიტერატურა კი მხოლოდ რიდერისგან შედგება, რაც პრინციპში გასაგებია კურსის კომპილაციური სახიდან გამომდინარე (შეუძლებელია მოინახოს 2 თუნდაც 3 სახელმძღვანელო, რაც სილაბუსში ჩამოთვლილ ყველა საკითხს დაფარავს).

ექსპერტთა შენიშვნები სილაბუსის ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით გათვალისწინებული იქნა. გასწორდა და მხოლოდ ოპტიმალური რაოდენობის, საჭირო წყაროებით განისაზღვრა დამხმარე ლიტერატურა. რიდერის, როგორც ძირითადი ლიტერატურის გამოყენება თავიდანვე მისაღებად იქნა აღქმული ექსპერტთა მიერ.

ამავე დროს გამოიკვეთა კურსის, როგორც რეგიონალური გეოგრაფიის მიმართულების ხასიათი. ექსპერტთა მიერ დასახელებული სილაბუსისი კომპილაციური ხასიათი, არ წარმოადგენს ნეგატიურ დახასიათებას, როდესაც მასში განიხილება „მთელი კავკასიის ბუნება და რესურსები. მასში, საქართველოს გარდა, წარმოჩენილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნები (აზერბაიჯანი, სომხეთი) და ჩრდილოეთი კავკასია (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთი ოსეთი-ალანია, ინგუშეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი).

სილაბუსის შესავალ კურსად გამოყენება, მხოლოდ შემოთავაზებას წარმოადგენდა ექსპერტთა მხრიდან და არ წამოადგენს პრონციპულ საკითხს, განსაკუთრებით განხორციელებული ცვლილებების ფონზე.

5. გეოინფორმატიკა (სავალდებულოკურსი). გეოინფორმატიკა ზოგადი თემაა, რომელიც თავის თავში მოიცავს გეოსაინფორმაციო სისტემებს, როგორც პრაქტიკულ ინსტრუმენტს. მეორეს მხრივ გეომატიკა – პრინციპულად განსხვავებული მიმართულებაა, უფრო ტექნიკურ-საინჟინრო, რომელიც პრაქტიკულ-აზომვით ტექნიკებს მოიცავს და უფრო გეოდეზიასთან არის ახლოს. ამიტომ სალექციო კურსის მიზნებში ორივეს მოხსენიება არ არის გამართლებული. რაც შეეხება გეოინფორმატიკას, სალექციო კურსის ფაქტიურად ArcMap-ის (გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემა) ბაზაზე მიმდინარეობს და სტუდენტი ეუფლება ArcMap- ის ძირითად სტრუქტურას და ფუნქციებს.

რეკომენდაციების შესაბამისად მოდიფიცირდა სასწავლო კურსის შინაარსი. სალექციო კურსის მიზნებიდან ამოღებულია სიტყვა გეომატიკა.

6. გეოგრაფიული კვლევის მეთოდები (სავალდებულო კურსი). სალექციო კურსი "გეოგრაფიული კვლევის მეთოდები" მნიშვნელოვანია მთლიანად პროგრამისთვის, მაგრამ ძალიან ფართო თემას მოიცავს, რაც თავის მხრივ რამოდენიმე (მინიმუმ 3 ცალკეულ) სილაბუსს აერთიანებს. ამავე დროს კვლევის მეთოდები უნდა ისწავლებოდეს პრაქტიკული კვლევითი კომპონენტის ჩართულობით. სილაბუსით გათვალისწინებული

საკითხები, მკვეთრად არა პროპორციულია მოცულობით. საკითხების ნაწილი მხოლოდ აღწერითი და თეორიულია, ხოლო მეორე ნაწილი ძალიან ფართო და მრავალმხრივი. შეუძლებელია ერთ ლექციაში ასწავლო (და რაც მთავარია სტუდენტმა ისწავლოს და შემდეგ პრაქტიკაში გამოიყენოს) ჩამონათვალში მოცემული საკითხები, მაგალითად: ლექცია 7: ისტორიული მეთოდი და დიაქრონული მიდგომა. რელიქტების ხერხი, სპოროვან- მტერის ანალიზი, განამარხებული ნიადაგები, ისტორიულ-გეოგრაფიული ჭრილი, ინდიკატორების ხერხი, ბერგმანის წესი, რადიაქტიური იზოტოპების დაშლის, რადიონახშირბადის დათარიღების, პალეომაგნიტური ხერხები. ან ლექცია 9: სტატისტიკური მეთოდი. მონტე-კარლოს მეთოდი, სტატისტიკურ მონაცემთა განზოგადება, ექსპერიმენტების გამოყენების სფეროები. (საჭიროებს მათემატიკური სტატისტიკის ზოგად ცოდნას). ან ლექცია 10: სტაციონარული, ნახევრად სტაციონარული, ექსპედიციური და დისტანციური კვლევის მეთოდები. მსგავსება და განსხვავება. გეოგრაფიული სტაციონარების სახეები. ასეთი სტრუქტურა ვერ პასუხობს სასწავლო კურსის მიზნებში გაწერილ "კვლევებში მათი პრაქტიკულად გამოყენების უნარების განვითარება"-ს. დამხმარე ლიტერატურა ძალიან ბევრია, 17 ერთეული (რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სილაბუსის ზედმეტად მრავალმხრივობაზე). კურსი საჭიროებს მნიშვნელოვან გადახედვას: 1. მისი მოცულობა უნდა შემცირდეს და უფრო დაკონკრეტდეს, შესაბამისად გაიზარდოს მიწოდებული ცოდნის ხარისხი და პრაქტიკაში გამოყენებადი გახდეს. 2. სილაბუსი შესაძლოა ორსემესტრზე გაიწეროს (გაიყოს ორ ნაწილად). ორივე შემთხვევაში აუცილებელია პრაქტიკული მუშაობის კომპონენტებზე ყურადღების გამახვილება.

როგორც განახლებული სილაბუსისი ანალიზმა გვიჩვენა, გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია და განისაზღვრა საკითხთა ოპტიმალური რაოდენობა. დაკონკრეტდა და გაიზარდა ცალკეული თემებისთვის კურსისი ფარგლებში გამოყოფილი დრო.

გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაცია დამხმარე ლიტერატურასთან დაკავშირებითაც. გასწორდა და მხოლოდ ოპტიმალური რაოდენობის საჭირო წყაროებით განისაზღვრა დამხმარე ლიტერატურა.

სასწავლო კურსი ითვალისწინებს სააუდიტორიო მეცადინეობებს, თუმცა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება ჩასწორდა და დაემატა თვით სილაბუსში.

კურსის ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარების განვითარების მიზნით, დაიხვეწა სამუშაო მასალები - სტუდენტები იმუშავებენ სპეციალურად ამ კურსისათვის შედგენილ „სამუშაო რვეულზე“, სადაც სხვადასხვა ტიპის ამოცანები, ტესტები, პრაქტიკული დავალებებია მოცემული.

7. გის (GIS) 1, 2 და 3. სალექციო კურსების სერია წარმოადგენს გეოსაინფორმაციო სისტემის სწავლის მსურველთათვის მიმდევრობით არჩევით კურსებს, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნება გეოინფორმატიკის კურსს. ოთხივე კურსის მიზნებში ტექსტი იდენტურია. ანუ სტუდენტი ვერ გებულობს, თუ კონკრეტულად GIS-ის რა თემას/ნაწილს გადის ამა თუ იმ კურსზე. ასევე ვერც ექსპერტი გებულობს, თუ რამდენად შესაბამისობაშია ლექციები თუ ლიტერატურა კურსის მიზნებთან. თანაც იმისთვის, რომ სტუდენტმა მიაღწიოს GIS-4 მდე უნდა გაიაროს ყველა წინა კურსი თანმიმდევრობით. როგორც სილაბუსებიდან ჩანს სწავლება (პრაქტიკული) მიმდინარეობს ArcMap პროგრამული პროდუქტის გამოყენებით. დღეისათვის ბაზარზე (მათ შორის შრომის ბაზარზე მოთხოვნის კუთხით) სულ რამოდენიმე GIS პაკეტია, გამოვეყოფდი ArcGIS (ArcMap, ArcScene), MapInfo, QGIS (უფასო). მიუხედავად სხვადასხვა პროდუქტებისა ძირითადი სტრუქტურა სამივეს ერთნაირი აქვს და მათი სწავლებაც დაახლოებით ერთნაირი პრინციპით არის შესაძლებელი: ძირითადი ბირთვის

სწავლება (core module) და შემდეგ თემატური მოდულების მიხედვით გაგრძელება (მაგ: სივრცითი ანალიზი, GIS კარტოგრაფია - რუკების მომზადება და ბეჭდვა, სივრცითი მონაცემთა ბაზები, 3D GIS და სხვა). რაც მთავარია ძირითადი ბირთვის სწავლების შემდეგ, როგორც წესი სტუდენტს შეუძლია ირჩიოს მისთვის სასურველი მოდული და არ არის საჭირო ყველაფრის თანმიმდევრობით გავლა. (ეს სტრუქტურა მოცემულია სილაბუსებში მითითებულ რიგ დამხმარე ლიტერატურაშიც). სილაბუსების საკითხების დონეზე განხილვა გვიჩვენებს რომ ძირითადი მოდულის როლს თამაშობს "გეოინფორმატიკის" სილაბუსი, თუ ავტორი საჭიროდ თვლის ძირითადი მოდულის სიღმისეულად გავლას მიღებულია GIS-1 და GIS-2 დასახელებების / სტრუქტურის გამოყენება. ჩვენს შემთხვევაში დანარჩენ სილაბუსებში GIS 1, 2 და 3 გაერთიანებულია GIS თემების სხვადასხვა ფრაგმენტები. ასეთი ფორმა ართულებს GIS-ის პრაქტიკულ დონეზე სწავლებასაც. საჭიროა სილაბუსების რესტრუქტურირება საერთაშორისოდ-მიღებული მიდგომების გათვალისწინებით ცალკეულ მოდულებად და სასურველია მათთვის დასახელებების შესაბამისად შერჩევა. აუცილებელია სალექციო კურსი და პროგრამული პაკეტი რომელიც გამოიყენება პრაქტიკული სწავლებისათვის თახვედრაში იყოს ერთმანეთთან.

სილაბუსები მთლიანობაში იქნა მოდიფიცირებული, გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად. ამასთან მათთვის თემატიკის და მიხედვით განსხვავებული დასახელებების მიცემა, მხოლოდ ექსპერტთა შეთავაზებას წარმოადგენდა და არ იყო სავალდებულო შესასრულებლად. დარჩენილი განსხვავებები ექსპერტთა და ავტორთა ხედვას შორის, ეხება აკადემიურ მიდგომებს და არ უქმნის პრობლემას გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამას.

8. გის (GIS) 4. მისი ძირითადი თემაა ექსპერტული გეოგრაფიული სისტემები. აქაც უნდა დაზუსტდეს თუ რა არის კურსის მიზანი, სტუდენტმა შეძლოს: 1. თავად შექმნას საექსპერტო სისტემა (მოიაზრებს პროგრამირებასაც), 2. მხოლოდ კონცეფცია შეიმუშაოს, 3. შეიქმნას წარმოდგენა ექსპერტულ გეოგრაფიულ სისტემებზე. არსებული ლექციათა ჩამონათვალიდან გამომდინარე სილაბუსი მხოლოდ მე-3 მიზანს პასუხობს. ზოგადად თემა საკმაოდ სპეციფიკურია და უფრო სამაგისტრო საფეხურის საგანს წარმოადგენს.

განახლებული სილაბუსი შეცვლილია გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

9. რეგიონალური ოკეანოგრაფია. აღნიშნული კურსის მიზანი "მსოფლიო ოკეანის ცალკეულ რეგიონებში მიმდინარე პროცესები" წარმოადგენს ვიწრო და უფრო გაღრმავებულ თემას "ოკეანოლოგიის" სილაბუსის. კითხვის ნიშნის ქვეშაა საგნის აქტუალურობა, საქართველოს მოთხოვნებიდან გამომდინარე. ნებისმიერ შემთხვევაში საგანი სამაგისტრო დონის არჩევითია.

როგორც განახლებული სილაბუსის ანალიზი გვიჩვენებს, დაიხვეწა საგნის მიზნები და შინაარსი, მეტი აქცენტი გაკეთდა შავი ზღვის შემსწავლელ საკითხებზე. ამგავი პრინციპული ცვლილებების ფონზე, შესძლოა განხილული იქნეს საბაკალავრო დონის არჩევით საგნად, როგორც ოკეანოლოგიის გაღრმავებულ კურსად.

10. ატმოსფერული პროცესები. ძირითად ლიტერატურად მითითებულია "ელექტრონული ვერსია პედაგოგის" ლინკის გარეშე. დამხმარე ლიტერატურად მითითებულია ჟურნალების ვებ-გვერდები. ერთადერთი ხელშესახები არის "ზოგადი მეტეოროლოგიის კურსი თბილისი, თსუ, 1997". შინაარსიდან გამომდინარე საგანი დიდწილად დუბლირებს მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სავალდებულო კურსს.

რეკომენდაციების შესაბამისად გასწორდა სილაბუსის ლიტერატურა და აღმოიფხვრა თემატური გადაფარვა.

11. ჰიდროლოგიური პროცესები: საგანი იმეორებს ორი სილაბუსის "ჰიდროლოგიის" და "საქართველოს სტიქიური პროცესების" თემებს. თემა შედარებით ვიწრო სპეციალიზირებულია და, დახვეწის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამაგისტრო დონეზე.

დაიხვეწა საგნის მიზნები, გასწორდა და განიმარტა თემების შესაძლო გამეორებასთან დაკავშირებული საკითხები. განახლებულ ფორმატში ჰიდროლოგიურ პროცესები წარმოადგენს არჩევით საგანს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს საბაკალავრო დონეზე საგანში „ჰიდროლოგია“ მოცემული საკითხების გასაღრმავებლად.

12. ლანდშაფტების გეოფიზიკა. 1. სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგები ბუნდოვანია. გაუგებარია თუ კონკრეტულად რა ცოდნას ღებულობს სტუდენტი (ტექსტი შესაბამისი გრაფებიდან) 2. საჭიროებს წინაპირობას გამომდინარე პროგრამის სტრუქტურიდან, სტუდენტებს არ აქვთ გეოფიზიკის ზოგადი ცოდნა, ამ ცოდნას არც აღნიშნული სილაბუსი იძლევა 3. დამატებითი ლიტერატურა წარმოადგენს ორგანიზაციების ვებ-გვერდებს. 4. ვერ მოვძებნეთ საგნის საერთაშორისო ანალოგი 5. ლექციების თემებიდან გამომდინარე სტრუქტა ვიწრო და სპეციფიურია, მაქსიმუმ შეიძლება განხილული იქნას სამაგისტრო დონეზე არჩევით კურსად (აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების შემდეგ).

რეკომენდაცია, რომელიც სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებს ეხება, გათვალისწინებული იქნა, სილაბუსი თვისობრივად შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა „ლექციების თემების სტრუქტურა, სადაც ლანდშაფტი განიხილება როგორც გარკვეული მოცულობის ვერტიკალური და ჰორიზონტალური საზღვრების მქონე ტერიტორია, გამსჭვალული ნივთიერების, ენერგიის და ინფორმაციის ნაკადებით“

მიღებულია განმარტება, რომ ლანდშაფტების გეოფიზიკის კურსი არის ლანდშაფტ-მცოდნეობის მოსაზღვრე მიმართულება და გეოგრაფიულ გარსში არსებულ ზოგად ფიზიკურ თვისებებზე აკეთებს კონცენტრირებას, შესაბამისად გეოფიზიკის ზოგადი ცოდნა სტუდენტათვის სავალდებულო არ არის.

გათვალისწინებულია დამატებითი ლიტერატურასთან დაკავშირებით გამოთქმული რეკომენდაციები, ამოღებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდები და შეტანილია კონკრეტული ლიტერატურა.

განხორციელებული ცვლილებების/დაზუსტებების და ასევე გაკეთებული განმარტებების შემდეგ, ვთანხმდებით რომ საგანის ვიწრო სპეციალიზაცია აკმაყოფილებს საბაკალავრო დონის არჩევით კურსს.

საგნის საერთაშორისო ანალოგებად მოყვანილი იქნა პოსტ საბჭოთა ქვეყნების უნივერსიტეტები. ზოგადად ეს საკითხი არ განსაზღვრავს საგნის საჭიროებას აღნიშნულ პროგრამაში და მიგვაჩნია რომ ეს ავტორთა გადასაწყვეტია, ექსპერტთა მიერ დასმული შეკითხვა მის, ვიმეორებთ საერთაშორისო აქტუალურობას უკავშირდებოდა.

13. ლანდშაფტების კლიმატოლოგია: ლიტერატურის სია ვერ ასახავს მიზნებს და დაყრდნობილია კონსპექტზე და 1992 წელს გამოცემულ ლანდშაფტმცოდნეობაზე. არ ჩანს კავშირი დისტანციური ზონდირების საკითხებთან, რაც ლანდშაფტების კვლევის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. თემატურად სამაგისტრო დონის საგანია (ვიწრო სპეციალიზაციის).

ლანდშაფტების კლიმატოლოგიის სილაბუსის საგნის ვიწრო სპეციალიზაცია გათვალისწინებულია მის არჩევით ხასიათში, და შეუძლიათ აირჩიონ იმ სტუდენტებმა, რომლებსაც აინტერესებთ აღნიშნული მიმართულებით ცოდნის მიღება და მომავალში (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ამ საკითხების კვლევა. გაცემული რეკომენდაციის

შესაბამისად კურსს დაემეტა სავალდებულო ლიტერატურა და დისტანციური ზონდირების საკითხები.

14. ნიადაგების კლასიფიკაცია. საგანი გადაფარვაშია ნიადაგმცოდნეობის სილაბუსთან, საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემების განხილვა ვიწრო სპეციალიზაციის თემაა და არ ესადაგება საბაკალავრო დონეს. ძირითადი ლიტერატურა კალანდაძე ბ. „ნიადაგების კლასიფიკაცია“ ელ.სასწავლო კურსი.

განახლებული სილაბუსის გადამოწმების შედეგად ჩანს, რომ გათვალისწინებულია ექსპერტების რჩევა და ნიადაგების კლასიფიკაციის სილაბუსიდან ამოღებულია ნიადაგმცოდნეობასთან გადაფარვაში მყოფი საკითხები.

15. კარტოგრაფია (სავალდებულო კურსი). ძირითადი ლიტერატურაში 11 (!) წიგნია მითითებული, გაუგებარია როგორ უნდა ისწავლონ სტუდენტებმა ყველა მათგანიდან. არ ჩანს კავშირი თანამედროვე ციფრულ რუკებთან და გეოსაინფორმაციო სისტემებთან. დღევანდელი კარტოგრაფია ციფრულ ტექნოლოგიებს ეფუძნება, შესაბამისი მოთხოვნებია დასაქმების ბაზარზე. მიგვაჩნია რომ სილაბუსი მნიშვნელოვნად გადასახედია ამ კუთხით.

კარტოგრაფიის კურსის სალექციო თემატიკაში შევიდა კავშირი თანამედროვე გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ციფრულ რუკებთან. ლიტერატურასთან მიმართებაში შენიშვნა გათვალისწინებულია და შემცირებულია, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურის რაოდენობა.

16. თემატური და ატლასური კარტოგრაფია. ძირითადი ლიტერატურა იგივეა რაც კარტოგრაფიის ზოგადი კურსის სილაბუსში. სასწავლო კურსი წარმოადგენს კარტოგრაფიის ერთი ნაწილის უფრო ღრმა და დეტალურ კურსს. ამ კურსის სწავლება თანამედროვე ციფრულ რუკებთან და გეოსაინფორმაციო სისტემებთან (მათ შორის WebGIS) კავშირის გარეშე ვერ პასუხობს თანამედროვე ცოდნის მიცემის პრინციპებს.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია და მითითებული წყაროები არ მეორდება სხვა სილაბუსებში. ასევე არის თანხმობა თანამედროვე ციფრულ რუკებთან და ტექნოლოგიებთან მჭიდრო კავშირზე.

17. რუკათმცოდნეობა. ძირითადი ლიტერატურა იგივეა რაც კარტოგრაფიის ზოგადი კურსის სილაბუსში. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ბუნდოვანია და საჭიროებს დაკონკრეტებას. თემები არ არის თანმიმდევრული და მეტწილად დუბლირებს კარტოგრაფიის და თემატური და ატლასური კარტოგრაფიის სილაბუსებს.

ექსპერტთა რეკომენდაცია ნაწილობრივი დუბლირების გასწორების შესახებ გათვალისწინებულია, ასევე გათვალისწინებულია შენიშვნა ძირითად ლიტერატურასთან დაკავშირებით.

18. გამოყენებითი გეომორფოლოგია. სილაბუსის სათაური არ შეესაბამება სალექციო თემებს. საგანი უფრო ანთროპოგენული რელიეფის ფორმირებას ეხება. თავის მხრივ სალექციო თემები საკმაოდ გაფანტულია და ეხება ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ საკითხებს. როგორიცაა ურბანული ლანდშაფტი, გეოსაინჟინრო კვლევები პროექტირებისთვის, ბუნებრივი რესურსები, ბუნებრივი კატასტროფები. ძირითად ლიტერატურად მოტანილია შ. ცხოვრებაშვილის გეომორფოლოგია, რომელიც ზოგადი გეომორფოლოგიის კლასიკური სახელმძღვანელოა, სამწუხაროდ დღეისათვის უკვე მოძველებული 1996 წლის გამოცემა (შედგენილია უფრო ადრე დაეფუძნება გასული საუკუნის მასალებს).

როგორც სილაბუსის ავტორთა მიერ მოწოდებული განმარტებიდან ირკვევა სილაბუსის სათაური „გამოყენებითი გეომორფოლოგია“ არ აღნიშნავს მის ინგლისურენოვან ვარიანტს

„Applied Geomorphology” და შეცვლილი იქნა როგორც „პრაქტიკული გეომორფოლოგია“ ასევე ახსნილი და დაზუსტებული იქნა კურსის შინაარსი. შესაბამისად იცვლება საჭიროება ძირითადი ლიტერატურის მიმართ.

19. დედამიწისმცოდნეობა (ძირითადი კურსი). საგანი სათაურიდან გამომდინარე საბაზისო და მნიშვნელოვანია. ამავე დროს სასწავლო კურსის მიზნები არ პასუხობს სილაბუსის სათაურს და დედამიწისმცოდნეობის საგნის დანიშნულებას. ძირითად ლიტერატურად მითითებული გამოცემა დასაზუსტებელია (არ იძებნება, გამომცემლობა და წელი მისათითებელი). არც ძირითად და არც დამხმარე ლიტერატურაში არ ჩანს ზოგადი გეოლოგიის და ზოგადი გეოფიზიკის სახელმძღვანელოები. საგნის ბაზისურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მნიშვნელოვნად განახლდეს ლიტერატურა და ლექციების თემები, თანამედროვე ცოდნის მაქსიმალური ინტეგრირებითვის.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია, სასწავლო კურსის მიზნები განახლებული და დახვეწილია, დაზუსტდა სავალდებულო ლიტერატურა - 2012 წელს თსუ-ს გამომცემლობის მიერ გამქვეყნებული „ზოგადი დედამიწისმცოდნეობა“.

20. გეომორფოლოგია (ძირითადი კურსი). აღნიშნული კურსი მართლაც საბაზისოა გეოგრაფიის საბაკალვრო პროგრამისათვის და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. მკაფიოდაა ჩამოსაყალიბებელი სასწავლო კურსის მიზნები (ზოგადია). ძირითადი ლიტერატურა (შ. ცხოვრებაშვილი, ზოგადი გეომორფოლოგია, თბ., 1996) მოძველებულია და ეფუძნება კიდევ უფრო ძველ გამოცემებს, ვერ ასახავს გეომორფოლოგიის მიმართულებით თანამედროვე ცოდნას და მიღწევებს. ეს განსაკუთრებით გეომორფოლოგიური პროცესების რაოდენობრივ მხარეს ეხება. სუსტრველია მის პარალელურად თანამედროვე, თუნდაც ინგლისური სახელმძღვანელოს გამოყენება. ასევე მოძველებულია დამხმარე ლიტერატურაც, რომელიც გასამდიდრებელია თანამედროვე საერთაშორისო მასალებით. აუცილებელია პრაქტიკულ მეცადინეობაში გამოყენებული/გაცნობილი იქნეს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები თუნდაც Google Earth-ის დონეზე და არა Microsoft Office PowerPoint (როგორც ეს სილაბუსშია გაწერილი).

მიგვაჩნია რომ ექსპერტთა რეკომენდაციები მთლიანობაში გათვალისწინებული იქნა სილაბუსში გდაიხედა და გაუმჯობესდა სწავლის მიზნები და შინაარსი, განახლდა დამხმარე ლიტერატურა, რომელიც გამდიდრებულია თანამედროვე მასალებით. გათვალისწინებული იქნა პრაქტიკულ მეცადინეობებზე დაფუძნებული სწავლება, რისთვისაც გამოყენებულია გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები Google Earth-ის დონეზე.

21. საქართველოს სტიქიური პროცესები. წარმოდგენილი სილაბუსიდან (კერძოდ ლექციების ძირითადი საკითხებიდან) არ ჩანს თუ რამდენად პასუხობს კურსიმის ძირითად მიზანს – "დაეუფლოს იმ მეთოდებს, რომელიც საჭიროა (სტიქიური) პროცესების წარმოქმნა-განვითარების კანონზომიერებების დასადგენად, თუ როგორ წარმართონ ექსპერტული შეფასება გარემოს მდგომარეობისა და სტიქიის საშიშროებასთან მიმართებაში". იგივე პრობლემა იკვეთება ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში, რომელიც ზოგადია და სრულად ვერ ფარავს სილაბუსის მთავარ თემას – ბუნებრივ სტიქიურ მოვლენებს.

განახლებული სილაბუსის ანალიზი აჩვენებს, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები მეტწილად გათვალისწინებული იქნა. სილაბუსში დაემატა სწავლება იმ მეთოდების, რაც საჭიროა საქართველოსათვის აქტუალური სტიქიური პროცესების წარმოქმნა-განვითარების კანონზომიერებების დასადგენად და შესაძლო რისკების ექსპერტული შეფასების განსახორციელებლად. შესაბამისად მოხდა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის

ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალის განახლება, და ის შემდგომადგვარად ასახავს სილაბუსის მთავარ თემას – საქართველოს სტიქიურ პროცესებს.

22. ლანდშაფტმცოდნეობა (ძირითადი კურსი). ძირითად ლიტერატურად ავტორის გამოცემა 2001 წ., დანარჩენი ლიტერატურა საკმაოდ მოძველებულია. არ ჩანს კავშირი დისტანციური ზონდირების და გეოსაინფორმაციო სისტემებთან, რაც ლანდშაფტების კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს თანამედროვე გეოგრაფიაში. იგივე პრობლემა იკვეთება პრაქტიკული მეცადინეობების ჩამონათვალში (ინგლისური დასახელება უნდა იყოს Landscape Studies).

განახლებულ სილაბუსში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაციები. ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი განახლდა, გამოყენებულია სახელმძღვანელო „ლანდშაფტმცოდნეობა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები“ 2014 წ. შეიცვალა საგნის დასახელების ინგლისური ვარიანტი (Landscape Studies). ლანდშაფტების კვლევის მეთოდებში დამატებული იქნა დისტანციური კვლევის მეთოდის არსი და გამოყენების ხერხები.

23. ბუნებრივი გარემოს ტრანსფორმაცია. სილაბუსის მთავარი თემაა ანთროპოგენული ლანდშაფტები და ლანდშაფტებზე ანთროპოგენული გავლენის ეკოლოგიური ასპექტები. რჩევა: ხომ არ ჯობს დასახელება იყოს მეტად ინფორმატიული სტუდენტებისათვის. არ ჩანს კავშირი დისტანციური ზონდირების და გეოსაინფორმაციო სისტემებთან, რაც ლანდშაფტების კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს თანამედროვე გეოგრაფიაში.

განახლებულ სილაბუსში, რეკომენდაციების შესაბამისად, განახლდა სასწავლო კურსის მიზნები. საგნის დასახელების ცვლილება ექსპერტთა მიერ მხოლოდ რჩევის სახით იქნა გამოთქმული, რაც არ იქნა გათვალისწინებული და სათანადოდ დასაბუთდა კიდევ ავტორთა მიერ. დასახელება რჩება უცვლელი რაც ექსპერტთათვის აბსოლუტურად მისაღებია.

24. სასწავლო-საველე პრაქტიკა გეოგრაფიაში (ძირითადი კურსი). სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე კურსი ორიენტირებულია უფრო საქართველოს გეოგრაფიული-გეომორფოლოგიური თავისებურებების საველე გაცნობაზე სტუდენტებისათვის ვიდრე კონკრეტული კვლევითი ამოცანის დასმასა და გადაჭრაზე, შესაბამისი ცოდნის და უნარების გამომუშავებაზე. აქცენტი კი სწორედ საველე კვლევის მეთოდების პრაქტიკულ შესწავლაზე უნდა გაკეთდეს. ძირითადი ლიტერატურა ზოგადი სახისაა, რომელიც საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიას მოიცავს. არ არის მითითებული ლიტერატურა, რომელიც უშუალოდ საველე კვლევების მეთოდებს და ტექნოლოგიებს მოიცავს. აკლია ინფორმაციის საველე კარტირების კომპონენტი, ციფრული და ქაღალდის რუკების (სხვა სახის გეოგრაფიული მასალის გამოყენება) და შედეგების კარტირება. საბაზისო საველე კვლევითი-სანავიგაციო აპარატურის გამოყენება და აგეგმვები (კომპასი, GPS, etc.). მონაცემთა GIS გარემოში ინტეგრირება და საბოლოო პროდუქტის (რუკის, ანგარიშის) მომზადება. დაშვების წინაპირობად მხოლოდ "გეოგრაფიის შესავალი" არ არის საკმარისი, რომ რეალური კვლევა განახორციელოს სტუდენტმა ველზე და პრაქტიკაში მოახდინოს მიღებული ცოდნის აპლიკაცია.

აღნიშნულ რეკომენდაცია ასევე შევიდა კონკრეტულ თემატურ რეკომენდაციებშიც, რაც პრაქტიკული კვლევების უნარ-ჩვევების გამომუშავებას ეხება. ამ მხრივ გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა მნიშვნელოვნად იქნა გადახალისებული და დახვეწილი. სასწავლო-საველე პრაქტიკის 1 და 2 სილაბუსების ანალიზი დამატებით გვიჩვენებს, რომ ასევე მნიშვნელოვნად იქნა გაუმჯობესებული სათანადო ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოყენებული

იქნება სტუდენტთა მიერ საველე პრაქტიკების დროს: წყლის სიჩქარის მზომი (ჰიდრომეტრიული ტრიალა), ნავი დოპლერი ბათიმეტრიული აგეგმისათვის, ვაკუუმური ბათომეტრი, ასევე ლარტყები, მანსელის შკალა, ნიადაგების საველე ლაბორატორია, სპეცთერმომეტრები, საველე ბურღები, საველე ცილინდრები, GPS-ები და სხვ.

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

რეკომენდაცია 20: გაძლიერდეს საველე კვლევების კომპონენტი ორიენტირებული პრაქტიკული კვლევითი პრობლემების გადაჭრაზე.

როგორც განახლებული პროგრამის ანალიზმა გვიჩვენა პრაქტიკული კვლევითი პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული საველე კვლევითი კომპონენტი გაძლიერებულია.

რეკომენდაცია 21: საგნობრივ სილაბუსებში ინტეგრირდეს საბაზისო თანამედროვე გეოგრაფიული კვლევების ტექნოლოგიების (ინსტრუმენტების) გამოყენების პრაქტიკა.

განახლებულ პროგრამაში, მისი არსებული სტრუქტურიდან გამომდინარე გაცემული რეკომენდაცია მთლიანობაში გათვალისწინებულია. საგნობრივ სილაბუსებში ხდება მეტი ყურადღების დათმობა თანამედროვე გეოგრაფიული კვლევების ტექნოლოგიებზე, პირველ რიგში გეოსაინფორმაციო სისტემებზე და დისტანციურ ზონდირებაზე, უფრო დეტალურად კი სპეციკურ არჩევით საგნებში.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამასთან აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმით (ოქმი №9, 29.01.2019) მიცემული რეკომენდაციები მთლიანობაში გათვალისწინებულია.



ნოდარ ფოფორაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე



მიხეილ ელაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი